

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
2100 ზუგდიდი, რუსთაველის
ქუჩა N90



MUNICIPAL COUNCIL
OF ZUGDIDI
№90 RUSTAVELI ST. ZUGDIDI
GEORGIA

ქ. ზუგდიდი

15 თებერვალი 2017 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N13

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საჯარო სკოლისთვის
სახელწოდების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საჯარო
სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის
ადმინისტრაციული ერთეულის საინიციატივო ჯგუფის (შემოსული 3.08.2016წ N02/710/03) განცხადების
შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საჯარო სკოლას
მიენიჭოს ლეო ჩიქავას სახელი.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის I
ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე
მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის
შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ.
ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.)

მ.ნანავა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე